ხელშეკრულება № 130
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(წარმომადგენლობითი ხარჯები)

ქ. თბილისი

2 ნოემბერი 2016 წელი

ჩვენ, ერთის მხრივ, **სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“** (შემდგომში - „შემსყიდველი”) წარმოდგენილი დირექტორის **ანა კვარაცხელიას** სახით (**მის:** ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №5/16-18; **ტელ:** 2960010; **ს/კ:** 204582763; **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა 200122900),
მეორეს მხრივ, **შპს „APG Georgia“** (შემდგომში - „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი გაყიდვების მენეჯერის **ნანა თანდაშვილის** სახით (**მის:** ქ.თბილისი, პუშკინის ქ.№6; **ტელ:** 2434006; **ს/კ:** 400066664; **საბანკო რეკვიზიტები:** სს „თიბისი ბანკი”, კოდი: TBCBGE22 ა/ა GE06TB7936736080100002),
”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მეწარმეობის განვითარების სააგენტოს, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის (ო/კოდი 24010302) 2016 წლის დაფინანსების ფარგლებში, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ექსპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში ქართველი დიზაინერების ნაწარმისა და სამკერვალო ფაბრიკებისთვის ექსპორტის ხელშეწყობისათვის, 2016 წლის 3-7 ნოემბერს გასამართ **მერსედეს-ბენცის** მოდის კვირეულზე დასასწრებად მოწვეული სამკერვალო ინდუსტრიისა და მოდის ინდუსტრიის ექსპორტიორი კომპანიების წამყვანი სპეციალისტების და წარმომადგენლებისათვის, ელექტრონული ავიაბილეთის (CPV60410000) შესყიდვა დანართი №1-ის შესაბამისად.
1.2. ავიაბილეთების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს **12269.80** (თორმეტი ათას ორას სამოცდაცხრა ლარი და 80 თეთრი) ლარს.
2.2. მოწვეული სტუმრის მგზავრობის მიმართულებები, თარიღები და ფასები წარმოდგენილია დანართში №1, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

3. მიღება-ჩაბარების წესი, ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
3.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ექსპორტის განვითარების დეპარტამენტის უფროსს კონსტანტინე მდინარაძეს, რომელიც არ იმყოფება მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.
3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.4. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, მენიუ-ჩეკის და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე (არსებობის შემთხვევაში), მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და სხვა პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე არაუგვიანეს 2016 წლის 10 დეკემბრამდე.
4.2. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

5. მხარეთა რეკვიზიტები

”შემსყიდველი”	”მიმწოდებელი”
სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“	შპს „APG Georgia“
დირექტორი	გაყიდვების მენეჯერი
ანა კვარაცხელია	ნანა თანდაშვილი

დანართი №1

№	სახელი და გვარი	მიმართულება	თარიღები	ღირებულება (ლარი)
1	MCDERMOTT/KEVEN LEE MR	ლონდონი-სტამბული-თბილისი-სტამბული-ლონდონი	2.11.2016-8.11.2016	1492.80
2	SMETS/PASCALINE MARIE MRS	ბრიუსელი-ვარშავა-თბილისი-მიუნხენი-ბრიუსელი	2.11.2016-7.11.2016	1386.70
3	CASIRAGHI/ANNA MRS	მილანი-სტამბული-თბილისი-სტამბული-მილანი	2.11.2016-6.11.2016	1422.10
4	FRIGERIO/SARA MRS	მილანი-სტამბული-თბილისი-სტამბული-მილანი	2.11.2016-6.11.2016	1422.10
5	BICHIN/ALEXANDER MR	მოსკოვი-თბილისი-მოსკოვი	3.11.2016-8.11.2016	679
6	ZENATELLO/ELISABETTA MRS	მილანი-სტამბული-თბილისი-სტამბული-მილანი	2.11.2016-8.11.2016	805.10
7	KOLOGREEVA/ELIZAVETA MRS	მოსკოვი-თბილისი-მოსკოვი	4.11.2016-7.11.2016	743
8	ZHURAVLEVA/ANASTASIIA MRS	მოსკოვი-თბილისი-მოსკოვი	4.11.2016-7.11.2016	743
9	BOGOLIUBSKAIA/ALEKSANDRA MRS	მოსკოვი-თბილისი-მოსკოვი	2.11.2016-6.11.2016	1377
10	PHILIPPOVA/TATIANA MRS	მოსკოვი-თბილისი-მოსკოვი	2.11.2016-6.11.2016	1377
11	KHOMUTOVA/ANNA MRS	მოსკოვი-თბილისი-მოსკოვი	4.11.2016-7.11.2016	822
	სულ:			12269.80

"შემსყიდველი"

სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტო"

დირექტორი

ანა კვარაცხელია

"მიმწოდებელი"

შპს „APG Georgia"

გაყიდვების მენეჯერი

ნანა თანდაშვილი